



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000010608115921

№ 02-40-R

01 / აპრილი / 2021 წ.

ბრძანება

საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 მარტის №34/2021 დადგენილების საფუძველზე;

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღება გამოცხადდეს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე: „**საშემსრულებლო ხელოვნება**“ (კლავიშოანი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, სოლო აკადემიური სიმღერა /ქალები, ვაჟები/, საორკესტრო სიმებიანი საკრავები /ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი/, საორკესტრო ჩასაბერი /ფლეიტა, პობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა/ და დასარტყამი საკრავები), „**ჯამის ხელოვნება**“, „**კომპოზიცია**“, „**მუსიკის თეორია**“ და „**მუსიკა და დღევანდელიობა**“ (მუსიკის ტექნოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა);

2. საბაკალავრო პროგრამებზე „**საშემსრულებლო ხელოვნება**“, „**ჯამის ხელოვნება**“, „**კომპოზიცია**“ და „**მუსიკის თეორია**“ აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებისთვის (შემოქმედებითი ტურებისთვის) განისაზღვრულ რეგისტრაციის ვადები: დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე registration@tsc.edu.ge 2021 წლის **10 მაისიდან 23 მაისის** ჩათვლით;

3. აბიტურიენტებს დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი დოკუმენტაცია: შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა, პირადობის მონმობის/პასპორტის ასლი, ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG), გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის ასლი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი-გაცემისთანავე, მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (*მხოლოდ კომპოზიციის პროგრამაზე*).


4. სპეციალობის გამოცდაზე შემოქმედებით ტურში მონაწილე აბიტურიენტთა რიგითობა განისაზღვროს ანბანური პრინციპით, სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობის აბიტურიენტებისთვის კი კონცერტმაისტერთა ანბანური პრინციპით;

5. შემოქმედებითი ტურების ჩატარების პერიოდი განისაზღვროს 2021 წლის **07 ივნისიდან 15 ივნისის** ჩათვლით; კოვიდ-19-ის გამო გადატანის შემთხვევაში 28 ივნისი (covid-19-ის სწრაფი ტესტის ან PCR-ტესტის წარდგენის შემთხვევაში);

6. შემოქმედებითი ტურების სრული განრიგი გამოცხადდეს თანდართული ცხრილის შესაბამისად (**იხ. დანართი N1**);

7. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს საგამოცდო ცენტრის წევრებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება გამოქვეყნდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად 

ნანა შარიქაძე

2021-2022 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების სრული განრიგი								
თარიღი	სოლო აკად. სიმღერა	აკად.გუნდის დირიჟორობა	კლავიშოანი საკრავები	სიმებიანი საკრავები	ჩასაბერი და დას.საკრ.	ჯაზის ხელოვნება	კომპოზიცია	მუსიკის თეორია
7 ივნისი ორშაბათი								სოლფეჯიო და ჰარმონია (წერა), 11სთ. №405
8 ივნისი სამშაბათი					სპეციალობა 10:00 №401		კომპოზიცია 10:00 (წერა)	
9 ივნისი ოთხშაბათი		სპეციალობა 10:00 № 320						ფორტეპიანო, სოლფეჯიო და ჰარმონია (ზეპ.) 11სთ. №405
10 ივნისი ხუთშაბათი			სპეციალობა 10:00 მცირე დარბ.	სპეციალობა 10:00 №401			მუს.თეორია: 15 სთ. №421 კარნახი, სმენითი, გამოცნობა, ტესტი	
11 ივნისი პარასკევი	სპეციალობა 11:00 დიდი დარბაზი		სპეციალობა 10:00 მცირე დარბ.	სპეციალობა 10:00 №401				
12 ივნისი შაბათი	სპეციალობა 11:00 დიდი დარბაზი	მუს.თეორია: 12 სთ. №401 კარნახი, სმენითი, ტესტი			მუს.თეორია 10სთ. №401 სმენითი	სპეციალობა 12:00 მცირე დარბ.		
13 ივნისი კვირა	სპეციალობა 11:00 დიდი დარბაზი		მუს.თეორია: 10სთ. №401 სმენითი, ტესტი				მუს.თეორია: 11სთ. №405 ფ-ნო, მუს.ლიტ(ზეპ.)	მუს. ლიტ-რა, ფოლკლორი 14 სთ. №405
14 ივნისი ორშაბათი				მუს.თეორია: 10სთ. №401 სმენითი, ტესტი		მუს.თეორია: 14სთ. №401 კარნახი, სმენითი, მოსმენა, ტესტი		
15 ივნისი სამშაბათი	მუს.თეორია: 10 სთ. №401 სმენითი, ტესტი, ფურც.კითხ.							